11735/3-125/21 2 30112021

11735/3-125/21
30-11-2021

თბილისის სააპელაციო

სასამართლოს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის I ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ გადაწყვეტილებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, განხილული საარბიტრაჟო შუამდგომლობების შესახებ:

ა) 2015 წლიდან დღემდე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს არბიტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მხარის მიერ ცნობა აღსრულების ან/და გაუქმების მოთხოვნით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

თბილისის სააპელაციო სასამართლო

ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა, 0159; ტელ.: 251-85-21/22/23;
ვებ-გვერდი: www.tbappeal.court.ge; ელ. ფოსტა: tbappeal@court.ge

10.12.2021წ. №2/21065

ბატონ იაგო ხვიჩიას
საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონო იაგო,

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2021 წლის 30 ნოემბერს, შემოსული თქვენი №11735/3-125/21 და №11736/3-125/21 (რეგ:N2/21065, N2/21066) მომართვების პასუხად, გაცნობებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და სტატისტიკის სექტორში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილი სტატისტიკური ფორმების მიხედვით, რომლითაც ცალ-ცალკე არ აღირიცხება ინფორმაცია თქვენ მიერ მითითებული საფუძვლებით. აღნიშნულ სტატისტიკურ ფორმაში მუშავდება ინფორმაცია ზოგადად არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებზე და ეს ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოიპოვება 2017 წლიდან, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში:

2017 წელს სულ შემოვიდა 3116 საარბიტრაჟო საქმე, ამავე წელს დასრულდა 2891 საქმე, საიდანაც დაკმაყოფილდა 2763 საქმე, არ დაკმაყოფილდა 128 საქმე.

2018 წელს სულ შემოვიდა 2959 საარბიტრაჟო საქმე, ამავე წელს დასრულდა 1924 საქმე, საიდანაც დაკმაყოფილდა 1808 საქმე, არ დაკმაყოფილდა 116 საქმე.

2019 წელს სულ შემოვიდა 5541 საარბიტრაჟო საქმე, ამავე წელს დასრულდა 2275 საქმე, დაკმაყოფილდა 2185 საქმე, არ დაკმაყოფილდა 90 საქმე.

2020 წელს სულ შემოვიდა 3196 საარბიტრაჟო საქმე, ამავე წელს დასრულდა 1989 საქმე, საიდანაც დაკმაყოფილდა 1956 საქმე, არ დაკმაყოფილდა 33 საქმე.

2021 წელს (ნოემბრის მდგომარეობით) სულ შემოვიდა 2685 საარბიტრაჟო საქმე, ამავე წელს დასრულდა 2486 საქმე, საიდანაც დაკმაყოფილდა 2430 საქმე, არ დაკმაყოფილდა 56 საქმე.

რაც შეეხება თქვენს მიერ გამოთხოვილ სხვა ინფორმაციას, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოძიება საჭიროებს დიდი ოდენობით საქმეების დამუშავებას და სისტემატიზაციას, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს.

ამდენად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

პატივისცემით,

ნატალია კალანდია

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-18276/21
"15" 12 2021 წ. ფურცელი 1